ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3755698

ნომერი: AR1565425

თარიღი : 19.12.2017

გაცემის თარიღი : 26.12.2017

გაცნობის თარიღი : 27.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, თინათინის ქუჩა N3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარლო ალექსიძე პ/ნ 01023005908
- თბილისი ს. დიღომი ხატაეთის ქ. N 6

ორგანიზაცია:

- შპს "ალდა ჯგუფი" კოდი: 405104943

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქუჩაზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებული კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრების მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. იგი საკმაოდ გადატვირთული სახის მატარებელია და ჭრელი, მიუღებელია ფანჯრის ღიობების (ვიტრინების) სარეკლამო აბრებით სრულად (ათვისება) გადაფარვა სასურველია უფრო სადა, დახვეწილი სახით მისი შემუშავება, საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრების რაოდენობის შემცირება, მხატვრულ ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრებზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოების განთავსება, მენიუს ხასიათის სარეკლამო აბრების განთავსება მიზანშეწონილი არ არის.

- ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია ახალი ფოტომონაჟი მასალისა და გაბარიტული ზომების მითითებით.
- წარმოსადგენია ის არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები, რომელზეც დამუშავებული იქნება ფოტომონტაჟები და გაითვალისწინეთ, რომ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და ფოტომონტაჟები ერთიდაიგივე რაკურსიდან უნდა იქნას გადაღებული და დამუშავებული.
- წარმოსადგენია კონკრეტული საპროექტო ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
- გაითვალისწინეთ, რომ სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს ობიექტის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა უფლებამოსილმა პირმა, რომელსაც აქვს სამუშაოების განხორციელების ინტერესი. იმ შემთხვევაში თუ ინტერესი აქვს მოსარგებლეს, წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილებისა და სარგებლობის დამადასტურებელი დკუმენტაცია ან მოსარგებლის უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. მოთხოვნის ტექსტში დამატებით განმარტეთ სამუშაოების განხორციელების ინტერესის მქონე პირთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.